წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. სამშაბათი ნოემბრის 14 (27) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 5 შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი ტრის . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 1 [illegible]
ქალაქ ბარდან მიმართული [illegible]
ხანგრძლივიერ განცხადების დაბეჭდვა ოთოოზერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღია ია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 174 ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 175

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტია

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს

მამულიშვილნო!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი ამერეთი და ამერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმართველობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმების და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავისი თავი და მიაღწიოს თავისუფლებას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს კერძო მესაკუთრეს უფლებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ კერძო საკუთრების, კერძო თოსნობის და კერძო შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გამდიდრება, განათლება და გამძლეობა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისას განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებით დიდი მამულები და გადასცეს იგი უმამულო მიწის მუშას, გლეხს სრულ საკუთრებად, იმ წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ქართულ მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და ღვინო-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

მამულიშვილნო?

ვისაც გწამთ რომ მოლიანი თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრე თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული.

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას № 8-ს.

მესაკუთრენო!

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს! მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

მიეცით ხმა საარჩევნო სიას

№ 8

რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის

1. **კედია** სპირდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაკავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი— მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის სამეწოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი,
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეტეტ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

გულცივობა და მიის ნაკოფი.

დამფუძნებელ კრებაზე /გასაგზავნ კანდიდატებს ქალაქებში დღეს მივსცემთ კიდევ უკანასკნელად ხმას, ხოლო დღის შემდეგ დაკარგულად ჩაითვლება ის ხმები, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ამ არჩევნებში.

სოფელში კი უკანასკნელი კადა ხმის მიცემისა არის 19 ნოემბერი. ერთმა შეტად სამწუხარო და მასთანავე ფრიად მაგნეტიზმა მოვლენამ იჩინა თავი არჩევნების პირველ დღეს: ხალხი არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობდა. მიზეზი ამისა შეიძლება საკროო სულიერი განწყობილებით ავხსნათ, ხოლო საარჩევნო კამპანიას რომ ბრალის უდიდესი ნაწილი უდევს ამ მოვლენაში, ცხადზე უცხადესია. დამნაშავის ძიება ეხლა შორს წაგიყვანს. დაე ამას პირუთვნელმა ისტორიამ დასდოს თვისი მსჯავრი.

ეხლა კი რაც შეიძლება მეტი სიფხიზლისაკენ და არჩევნებისადმი ინტერესისაკენ უნდა მოუწოდოთ ხალხს.

შესაძლებელია საზოგადოებას იმედი დაეკარგა დამფუძნებელი კრების შედგენისა, გინდ ნაოფიერ მუშამბისა, ისე, როგორც უნდომლად უყურებდა კერენსკის მთავრობას და უნდომლად უყურებს ლენინის „მთავრობასაც“.

შეიძლება არც ჩვენ გვწამდეს, რომ დამფუძნებელი კრება რაიმე მალამოს დასდებს ქართველი ერის ჭრილობებს, მაგრამ ეს არჩევნები სულ სხვა მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო.

რუსეთის ბურჟუაზიტი რევოლუციური ნაწილი დარწმუნებულია ღრმად, რომ ქართველი ერი ყველაზე უფრო მომწიფებულად და შეგნებულად დგება ამ რევოლუციის. ეს მართალიც არის და არა მართალიც. მართალი არის რუსეთის პოლიტიკურის თავისუფლების მოპოვების მხრით, ხოლო არა მკრთალი საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოპოვების მხრით. ყოველ შემთხვევაში რევოლუციის პირველ დღეებზე ზედგამოჭრილია ასეთი შეხედულება.

დღეს შეიძლება საგრძნობლად შეიცვალა ქართველი ერის მსოფლ-მხედველობა, მაგრამ ეს იმას კი არ უნდა ნიშნავდეს, რომ ამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ჩვენ გულცივობა და ინდიფერენტიზმი უნდა გამოვიჩინოთ.

არ უნდა გამოვიჩინოთ იმიტომ, რომ ჩვენ ამ ბრძოლა ბრძოლა ბრძოლელ თუ არა მეზობელ, მფლობელ თუ არა მფლობელ ერებში საგრძნობლად შეიცვლება და შეიცვლება არა ჩვენს სასარგებლოდ, არამედ ჩვენს საზიანოდ. ამ არჩევნებმა უნდა დაანახოს მთელს კავკასიას, —რომ მიუხედავად რევოლუციურის აღფოთოვანებისა დაცემისა რუსეთში, ქართველ ერს არ ამოშრობია თავისუფლების წყურვილი და იგი არ შეშინებია არც ეროვნულ ჩაგვრას, არც გამძვინვარებულ ანარქიას, არც კარზე მომდგარ შიმშილსა და წყურვილს და არც იმედი დაჰკარგვია რევოლუციურ მიზნების განხორციელებისა.

მაგრამ ამაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის არჩევნების მეორე მხარეს აქვს. როგორც მთელს ამერ კავკასიაში, ისე კერძოდ საქართველოში მაქსიმალური საარჩევნო ბრძოლა გაიაზლეს არა თუ მარტო პარტიებმა, არამედ ერებმაც კი. სომხები და თათრები დაირაზმენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ხმა მიიღონ მათ კანდიდატებმა, კერძოდ სომხებმა არ განსაზღვრეს თვისი ფარგლები მარტო-ოდენ დამნაკოკენების სიაში, ისე კადეტების ესერების, ბოლშევიკების, მენშევიკებისა და სხვა სიებშიც, ამათ სიებში სომხები არ არიან სადმე ძირში მოგდებული პირიქით, მათი გვარები სიების პირველ ადგილში არის წამოჭიმული და მაშასადამე შანსებიც დიდი აქვსთ გასვლისა. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ სომხები ფულითაც და შრომითაც ხელს უწყობენ თვისი ერის არჩევნების მონაწილეობაში მიღებას და ნათლად დაეარწმუნებენთ რომ არჩევნების ნაყოფი მათთვის მეტად ხელსაყრელი იქნება. ისინი ერთ ხმასაც არ დაჰკარგვენ ხოლო ქართველობის 3/4 ნაწილიც მონაწილეობის გარეშე დარჩება მერე რას მოგვიტანს ეს?

თუ ორნაირად მოუყლით კითხვას. ორნაირადვე წამებული ქართველები გამოვიდევართ, ხოლო სომხები მოგებული დარჩებიან.

ერთი ნათელია: არჩეული კანდიდატები ამერ-კავკასიის ოლქიდან ან წავლენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე (მოსკოვში გინდ პეტროგრადში) ან და, თუ რუსეთში, დამფუძნებელი კრება ვერ შესდგა, რაც ადვილად შესაძლებელია არჩეული კანდიდატები ამერ-კავკასიის მთავრობას შეადგენენ. უკანასკნელის შესაძლებლობა უკვე გვამცნეს თფილისის გაზეთებმა.

1. თუ კანდიდატები რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე წავლენ, მაშინ უმრავლესობა პროპორციულად სომხობა იქნება, ე. ი. ამით დაეანახებთ რუსეთის საზოგადოებას, რომ ამერ-კავკასიაში პირველი ადგილი სომხებს უჭირავსთ, მაშასადამე გადამწყვეტი როლიც მათ ეკუთვნის,

2. თუ კანდიდატები ამერ-კავკასიის მთავრობას შეადგენენ, ამ შემთხვევაშიც უმრავლესობად სომხები წარსდგებიან, მაშასადამე აქაც გადამწყვეტი როლი მათკენ იქნება.

რას ნიშნავს ეს? პასუხი ერთია: ქართველობა დაიჩაგრება, ჩვენს ინტერესებს არავინ ანგარიშს არ გაუწევს და ჩვენ პირ-ფარეშს ჩვენს მოთხოვნილებათ, უპატიოსცემლოთ, ალმაცერად შეკუურებენ. მაშასადამე ის დიდი იმედებიც, რომელსაც ჩვენ ამ დამფუძნებელ კრებაზე ვამყარებდით, ვაგვიცრუდება და დაეჩრებით პოლიტიკური ცხოვრების პასიურად მაყურებელნი არა მარტო ამერ-კავკასიაში, არამედ ჩვენს საქართველოშიც კი. ჩვენს ბედს მაშინვე კი ვეღარ გადავწყვეტთ, არამედ მოგვახვევენ თავზე იმას, რაც სომხებსა და თათრებს მოესურვებათ და რაც შეიძლება ჩვენთვის მავნებელი იქნეს.

შეიძლება დაინტერესდეს ვინმე, თუ რად მოხდება ასე?

ვიცით, რომ ქართველობას საკუთარი ეროვნული სია არ წამოუყენებია. ვიცით ბეჭედეგე, რომ ამერ-კავკასია არის საარჩევნო ერთეულად გამოცხადებული. მაშასადამე დასახელებულ 36 დეპუტატთა რაოდენობის მიცემულ ხმათა უმრავლესობა გადასწყვეტს. თუ ქართველებნი უღრეს ეტიური მონაწილეობა არ მიეღეთ არჩევნებში, მაშინ ჩვენს ხმებს დაჩრდილავს და შთანთქავს სომეხთა და თურქთა ხმები და აშკარაა ამიტომ, რომ ქართველი კანდიდატები იმაზე ნაკლები გვეყოლნენ, ვინემ ჩვენ შეგეძლო გაგვეყვანა. შედეგები ამისა ზეკითაც ალნიშნეთ და აქაც გავიმეორებთ.

ჩვენ ცხოვრების ტონისა და მიმართულების მიმცემი ვიქნებით არა ჩვენნე ქართველები, არამედ იქნებიან უცნობები. დავინებოთ ამის თავი, რომ ქართველი ერის კულტურა გაცილებით უფრო მაღალი იყვა, ვინემ ჩვენი მეზობლებისა და ამისგამო არა მარტო ამერ კავკასია არამედ მთელ კავკასიასაც ტონს ქართველობა აძლევდა. ეს ისტორიული ტრადიციაა ჩვენ ერისა და ეხლა, ჩვენისავე გულცივობით ხელიდან უნდა გაუშვათ არა მარტო ეს

13 ნოემბერს ს. ბანძაში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტფილელ სასწავლებლის სტუდენტს

ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐᲡ

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მიხა გბენია და მაშიკო გაბუნიასი ოობერის ასული.

ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ

დაწერილებითი ცნობები მოგვაწოდოს არჩევნების შესახებ —როგორი იყო სულიერი განწყობილება ამომრჩეველთა, მოხდა თუ არა რაიმე უწესობა, რამდენი ხმა მიიღო ამა თუ იმ პარტიამ და სხვა...

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

თანახმათ ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტთა ორგანიზაციის პრეზიდიუმის და მოწოფეთა წარმომადგენელების დადგენილებისა სამშაბათს 21 ნოემბერს ქუთაისში ქალაქის თეატრში დილის 9 ნახევარ საათზე მოხდება: ეროვნულ დემოკატიული პარტიის 1) სტუდენტთა 2) საშუალო სასწავლებელ დამოაკრებულთა (სახალხო მასწავლებელთა და სხვა) და მოწოფეთა (გიმნაზიელთა სქესის) შეერთებული კრება. კრებაზე დასწრება მანდატებით შეიძლება, რომელსაც მიიღებთ: მოწაფეები სასწავლებლების ორგანიზაციის წარმომადგენელთან, და დანარჩენი „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲚᲘᲡ“ რედაქციაში სტუდენტთა ორგანიზაციის პრეზიდიუმის მდივანთან.

კრებაზე დასასწრებლათ კარტა ბარათები არავის დაურიგდება.

დასავლეთ-საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების სტუდენტა ორგანიზაციის **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ**

ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

აცხადებს, რომ აქციონერთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება დანიშნულია **კვირას, 10 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, შუადღის 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ** ქ. თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 ტელ. № 5 —26

შემდეგი საკითხების განსახილველად: 1. ძირითადი თანხის გადიდება.

2. ბანკის განყოფილებათა გახსნა.

სახელდებული აქციების პატრონთ საზოგადო კრებაზედ უფლება აქვთ ხმისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეტანილი არიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე ქ. წესდ. § 58.

აქციონერებს, რომელსაც ხმის უფლება აქვს და ვერ დაესწრება კრებას შეუძლიან თავისი უფლება გადასცეს ვექილობით სხვას, მხომოდ ისევ ხმა უფლებინს; ეროსა და იმავე აქციონერს არ შეუძლიან იქონიოს ორ ვექილობაზედ მეტი და არავითარ შემთხვევაში ერთ მეათედზე მეტი (1 —10) იმ ხმებისა, რომდენიც ეკუთვნიან კრებაზედ დამსწრე აქციონერთა-

უპირატესობა, არამედ ისიც რომ ჩვენი თავის, ჩვენი შინაური საქმეების გამგეობა ჩვენვე გვეკუთნოდეს.

გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და სანამ ჯერ გვიან არ არის, მივიდეთ ყველა საარჩევნო ყუთებთან, რა მიმართულებისაც არ უნდა ვიყოთ.

ხოლო ქართული ცხოვრების ღრმად აღელოს აღება ყველას გვავალებს უპირატესობა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას № 8 მივსცეთ ხმა.

დღეს ქალაქებში კიდო მოვასწრებთ, ხოლო სოფლად და მაზრად 19 ამ თვემდი არის ხმის მიცემის ვადა.

საქართველოს ინტერესები გიკარნახებსთ ხმები არ დაუკარგოთ ქართველ ერის მიერ წამოყენებულ პარტიებს.

ᲘᲜ ᲮᲐᲜ.

ᲖᲐᲕᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.

რუსეთის მეუმრავლესობა მშრომელობამ ყველა მებრძოლი სახელმწიფოს წინაშე დადგინა მიმართა, რომ ბრძოლის ასპარეზებზე დაუყონებლივ „დროებითი შრიგება მოხდეს“.

მეუმრავლესობა მიერ დაყენებულმა ლაშქრის უმაღლესმა მთავარმა სარდალმა დუხონმა ტროიკის და ლენინის ბრძანება „მუსეე“ არ შესრულა და მოითხოვა განმარტება, თუ რა საფუძველზე უნდა დამყარდეს დროებით ჩამოვარდნილი ზავი?

მეუმრავლესე სახალხო კომისარებმა ეს იწყინეს და დუხონინს ტელეფონით აცნობეს, რომ იგი თანამდებობიდან გადაყენებულია და მის ადგილას დანიშნულ იქმნა პრაპორშჩიკი კრილენკო. სახალხო კომისარებს ბრძოლის ველზე წინადადება მიუციათ ფრონტის ჯარისთვის, რომ ყოველმა პოლკმა თვითონ, დამოუკიდებლათ ჩამოაგდოს დრ. ბერეზინიანი ... ...

ჩვენ მოვუწოდებთ მეამბოხე ჯარის შტაბს, გიიწვიონ უკანვე ჯარი და ხაზი ლაგოვი, ჰულეკოვი, კოპლინო ნეიტრალურ ხაზად გამოაცხადოს პასუხი გადაეცით პარლამენტარებს არა უგვიანეს დილის 8 საათისა".

მთავარ-სარდლის შტაბის პროპორშჩიკი **მილერი.**

კერენსკის ცოლის დატუსაღება

დაატუსაღეს კერენსკის ცოლი ო. ა. კერენსკაია.

ხაზინის ხელში ჩაგდება

გიორგობისთვის 7-ს სახელმწიფო ბანკში მივიდა მოდაშვებულის კომისარი ფენშინსკი შეიარაღებული რაზმით და ორკესტრით. კომისარს 10 მილიარდი მანეთი მოუთხოვნია, მაგრამ რაკი ბანკის მოსამსახურეებმა პროტესტი განაცხადეს და გაფიცვით დაემუქრნენ, მენშინსკი უკანვე გაბრუნდა თავისი რაზმით.

პურიშკევიჩის დატუსაღება

პეტროგრადში ბოლშევიკებმა დაატუსაღეს პურიშკევიჩი, რომელიც სხვისი პასპორტით სცხოვრობდა ქალაქში. დაატუსაღეს აგრეთვე რასპუტინის მკვლელი თავადი იუსუპოვი გრაფი სუმაროკოვ-ელსტონი.

კერენსკის პასუხი

გიორგობისთვის 1-ს სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირში შემდეგი პასუხი მიიღო ა. კერენსკიდან: „ოქვენი წინადადება მიღებულია“ გუშინ გამოვგზავნე ჩემ წარმომადგენლად კომისარი სტანკევიჩი. ეფელი პასუხს“. ა. **კერენსკი.**

ბოლშევიკები რკინის გზებზე

სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირს ცხობები მიეღია სხვა და სხვა რკინის გზებიდან, რომ ბოლშევიკების ძალადობას რკინის გზის მოსამსახურეებზე საზღვარი არ უჭირს. თვით აწარმოებენ კონტროლს, დეგეშებს უკვეზეროდ არ უშვებენ და კერძო მეწერ-მოწერისათვის ტელეგრაფით უფასოდ სარგებლობენ.

მილიციის გაფიცვა

მილიციის უფროსი მოსამსახურენი გაფიცნენ. მათ პროტესტი განაცხადეს ბოლშევიკების ძალადობის წინააღმდეგ.

ბანკების დახურვა

რადგანაც ბოლშევიკები სახელმწიფო ბანკის საქმეებში ჩარევენენ მოსკოვის განყოფილებამ ბანკი დახურულად გამოაცხადა. დაიხურა აგრეთვე **ყველა** კერძო ბანკები.

გლეხთა ყრილობა

მოსკოვის გლეხთა სიბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა **დაადგინა** მოგალევში მოიწვეოს სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა.

ოქროს ხელში ჩაგდება

სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგე ბოლშევიკებმა გადააყენეს, რადგანაც მათი განკარგულება არ შეასრულა. მის მაგივრად დანიშნეს კომისრად პოპოვი. ამის შემდეგ ძალით გაიტანეს ბანკიდან დაგროვილი ხალასი ოქრო. ბანკის გაფიცულ მოსამსახურეებს მოსკოვიდან გაძევებით დაემუქრნენ ბოლშევიკები.

უუბანის ოლქში ბოლშევიკების გამოსვლა

კავკასიის სამხედრო კომისარ დონსკოის ეკატერინოდარიდან ბიჩი ატყობინებს: „უუბანის ოლქში საერთოდ საწყენარა, თუმცა აქა იქ მცირე შეტაკებანი ხდება აგრარულ ნიადაგზე. ზოგან თვით გასა მართლებასაც აქვს ადგილი. გავ�ეფებული ხვები, ეითომც სიბჭოები გაგვეერკოს, პროვოკაცია არის.

ნოე ჟორდანიას ჩვენება

(მიხაკო წერეთლის წერილის შესახებ)

პარასკე

ძირსო", ფაღვა იძულებული შეიქნა ძირს ჩამოსულიყო. მიტინგმა გასტანა საღამოს 5 საათამდი. **ნამი.**

დაწერვას და დაპრას უბირებენ საქართველოს საზღვრების მთლიანობას, საქართველოს სრულ-უფლებიანობის მომხრე მხოლოდ № 8 არის.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ბიდღათის რკინის გზის მიმართულება უკვე გამოიკეთელო და გადწყვეტილი. — მიღებულია ვარიანტი რიონ-ბიდღათი, მხოლოდ სანამ მდ. ყვირილაზე ხიდი გაკეთდებოდეს დროებით ეს გზა შეერთებული იქნება ალაზანთან ანანოვის რკინის გზის ტოსოთან ჯინჭარაულში.—ამ გზისათვის საპირო მიწის შემომხეცნის სამხედრო სამრეწველო კომიტეტი უკვე შეუდგა; მიწის სამუშაოც (**земляныя работы**) ალაირად გაკეთლულია და მუშაობას **15** ნოემბრს დაიწყებენ. გზა იქნება ჯერ-ჯერობით ვიწრო ლინდგაინი, ხიდები და გზის რელიეფი განიერ ლინდგაინისათვის იქნება შემზადებული. — გზის საკეთებელ ხარჯათ (ჯინჭარაულიდან ბიდღათამდი და იქიდან სირმე მთამდი, დაახლოვებით **35—36** ვერსია. სამხედრო სამრეწველო კომიტეტს გადადებული აქვს **2,700,000** მანეთი, ხოლო ჩვენი ქუთაითურების, ბიდღადის რაიონის მკვიდრეობლების და მ. ანანოვის დახმარება-კი (მდ. ყვირილაზე ხიდის და გზის ნაწილისშვიდი ვერსის გასაკეთებლათ და აგრეთვე გზისათვის უფასოთ და დაკლებულ ფასებში მიწების დათმობა) გამოიხატება დაახლოვებით **800,000** მან; ამიტომ კომისიის კრებაზე გადწყდა: იმ პირობაში, რომელსაც სამხედრო სამრეწველო კომიტეტი და ქ. ქუთაისი ერთმანეთ შორის სდებენ მოსხენებული იქნეს, რომ, თუ ეინაცობაა, დრო და გარემოების მიხედვით გზის ლიკვიდაცია მოხდა ან გადაკეთდეს იქნა რომელიმე დაწესებულებაზე, მაშინ ეს გზა სრულიათ უნდა დაეთმოს ერობას ან ქალაქს. ამასთანავე კრებაზე ინდ. ბ. პერსინსკიმ განაცხადა, რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტს გადწყვეტილი აქვს ოცი წლის განმავლობაში ყოველ წლობით ორი მილიონი ფუთი ხე-ტყე გამოზიდოს ბიღდათის და სირმე მთის რაიონიდანო, ჩვენის აზრით ამ გზით კერძო პირთა საკონლის თუ ამდენს არა ერთი მილიონ ფუთის გადაზიდვა გადმოზიდვა მაინც შესაძლებელი იქნება ხე-ტყე, ღვინო, პური, სიმინდი, თაფლი და სხვა; სამგზავრო ბილეთები დიდ შემოსავალს მისცემს გზას, მეტადრე საკურორტო სეზონის დრო (აქეთ არის ზეკარის ამინგები და სირმე მთის მეგვე წყლები). ფრახტი კერძო საკონლეზე, როგორც ინდ. ბ. პრესინსკიმ ს